N1893 2015 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ზოოლოგიური პარკის შემოღობვის სამუშაოებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს უფლება, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №81.21.04.669), ახალი ზოოლოგიური პარკის დროულად განთავსების მიზნით, გამოყოფილი ტერიტორიის შემოღობვისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა - 1 902 250 (ერთი მილიონ ცხრაას ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გამოყოფილ, გამწვანების ღონისძიებების ასიგნებათა ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**